ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6998039

ნომერი: AR11030285

თარიღი : 17.04.2024

გაცემის თარიღი : 24.04.2024

გაცნობის თარიღი : 26.04.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის VI ჩიხი N1, ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი IV ჩიხი N1-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კონსტანტინე დგებუაძე პ/ნ 01017002402
- ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის 17

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2024 წლის 17 აპრილის №AR1030285 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 17

აპრილს №AR1030285 განცხადებით მომართა კონსტანტინე დგებუაძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 07 მარტის №6923022 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 07 მარტის №6923022 ბრძანებით №01.19.35.007.134 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2024 წლის 07 მარტის №6923022 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში არასწორად დაფიქსირდა, საცხოვრებელი, საზაფხულო, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს, ავტოსადგომისა და საერთო ფართობების მაჩვენებლები. შესაბამისად ითხოვს, საცხოვრებელ ფართობად 5553.74 კვ.მ-ის ნაცვლად 5613.6 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 976.44 კვ.მ-ის ნაცვლად 934.48 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 898.67 კვ.მ-ის ნაცვლად 885.18 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 1459.15 კვ.მ-ის ნაცვლად 1484.78 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 8932.26 კვ.მ-ის ნაცვლად 8962.3 კვ.მ-ის დაფიქსირებას. ამასთან, -2.90 და 0.00 ნიშნულების გეგმებზე ავტოსადგომებზე სადგომის ფართობებისა და ნუმერტაციის დაზუსტებას, აგრეთვე გეგმების ჩანაცვლებას.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობებში არ არის ჩათვლილი კიბის საფეხურების ფართობები. საჭიროა აღნიშნული ფართობების გეგმებზე დაზუსტება და კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობში ჩათვლა. ამასთან, ვინაიდან, -2.90 და 0.00 ნიშნულების გეგმებზე დაზუსტებულია ავტოსადგომების ინდივიდუალური ფართობები, საჭიროა ავტოსადგომის სავალი ნაწილის ფართი ცალკე იქნეს გეგმებზე დაფიქსირებული. აგრეთვე, საზაფხულო ფართობების ჯამი არ შეესაბამება მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირებულ მაჩვენებლს. საჭიროა დაზუსტებულ იქნეს აღნიშნული. საზაფხულო, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობების დაზუსტება გამოიწვევს საერთო ფართობის დაზუსტებასაც.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დაზუსტდეს მოთხოვნა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად,

ვბრძანებ:
1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში:
1.1 დააზუსტოს მოთხოვნა საზაფხულო, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს, აგრეთვე საერთო ფართობები.
1.2 წარმოადგინოს სამსახურის 2024 წლის 07 მარტის №6923022 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები (გეგმარების შეცვლის გარეშე), დაზუსტებული ფართობების დატანით.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2024 წლის 17 აპრილის №AR1030285 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.